# სახალხო გაზეთი

№ 410 სამშაბათი, 27 სექტემბერი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 410

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ღირება 4 მანეთად.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და გ. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის" რედ ციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სასახლის ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, მისავალი ეზოდან

ფოსტის ადრესი: [illegible]ლებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо [illegible]ети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## „სახალხო გაზეთი"

სურათებიანი დამატებით

1 ენკენისთვიდან წლის ბოლომდე

ღირს 3 მან. 20 კაპ.

ერთი თვით, როგორც ქალაქში ისე მის გარედ . . . . 80 კაპ.

ფოსტის ადრესი: ტფილისი, „სახალხო გაზეთი". (п. я. 190)

რედაქცია და კანტორა იმყოფება: სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლში, შესავალი ეზოდან.

## „სახალხო გაზეთი"-ს ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან ვისაც ხვედრი ფული იმ დროსთვის არა აქვს წარმოდგენილი—გაზეთი აღარ გაეგზავნება.

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. მ. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკად

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

ტელეფ. № 795. ახალი კლუბი ტელეფ. № 795

სამშაბათს, 27 ენკენისთვეს, 1911 წ.

## ჩვეულებრივი საოჯახო საღამო

საზაფხულო თეატრის სცენაზე:

I. გამოჩენილი სპორტ-მალაბარისტ-ჟონგლიორები

ქსენია და მიხეილ პაშჩენკოები

II ბ. ვილლი ხერტინგი

გამოჩენილი გიმნასტი და ველოსიპედზე და წვრილ მავთულზე მოსიარულე.

დასაწყისი სა. 9 ს.

შესასვლელი ფასი თეატრში 10—50 კ.-დე. სტუმრ. გადიხდიან: კაცი 1 მ., ქალი 50 კ., სტუდ. 25 კ. წარმოდგენის შემდეგ ლოტო. (2.1514.I)

1911 წ. 4 ოქტომბრიდან ქალაქ განჯაში

გამოვა ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საზოგადოებრივი და სალიტერატურო

გაზეთი „უშნი კაპკაზ".

ხელის მოწერა ერთის წლით განჯაში 5 მ., ქალაქ გარეთ 6 მ. განცხადების ფასი: 1 გვერდზე სტრიქონი პეტიტით—15 კ., უკანასკნელზე—10 კ. 1912 წ. 1 იანვრამდე გაზეთი ღირს განჯაში 2 მ., ქალაქ გარედ 2 მ. 50 კ.

მიიღება ხელის-მოწერა და განცხადებანი.

გაზეთის გასავრცელებლად და განცხადების საშოვნელად აგენტია საჭირო.

პირობების გაგება შეიძლება წერილობით და პირადად—მორიგებით.

(3.1516.1) მისამართი: განჯა „იუჟნი კავკაზ".

## საბურთალოზე

მშვენიერ ადგილას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. (წ.—1147—147)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, ვეტცელის" სასტუმროსთან. ტელეფონი № 590.

სტაციონალურ ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, მხოლოდ გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები შემდეგ დროს:

ექიმი-ქალი ვერბიცკისა-ფირალოვისა დ. ე.—სამშობიარო და ქალის სნეულ. ყოველ დღე 11—12 ს.

გედევანიშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., შაბათ., 10½—11 ს.

დავითაშვილი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მადლიაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ საათ.,

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—1½ ს.

შელიჭაშვილი. ნ. მ. ქირურ. და დაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12½—1 ს.

ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

სობოლევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე 9—11 ს.

სულაკოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

თიკანაძე ი. ე.—ქალის სნ. და სამშობიარ., ყოველ დღე 1—2 ს.

ფედოროვი ე. გ.—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე გარდა, კვირისა და ოთხშაბათისა 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი წამლობა „606"-ით (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შედავათ. სადგასურით. (წ. - 1089 568

## კავკავი

ვლ. კონს. ვიტოვსკის

## პროგიმნაზია

მოწაფეთა უფლებებით (დაარსებულია 1907 წ.).

მოწაფეთა მიღება მოსამზადებელ 1, 2, 3, 4 და 5 კლას. გრძელდება.

გარდა ამისა ვლ. კონს. ვიტოვსკი კისრულობს პასუხისმგებელ მომზადებას საშუალო სასწავლებელთა სრულს კურსში ყოველგვარ წოდებაზე (მასწავლებლად, (ქალ-ვაჟთ) სააფთიაქო შეგირდად (ქალ-ვაჟთ) ვოლნოოპრედელიაუშჩად 1 და 2 ხარისხის და საიუნკრო სასწავლებლისათვის.

შემთხვევით, ყველა ცნობათა მიღება ამ რამდენიმე დღეში შეიძლება აქ ტფილისში ვისაც ჰსურს, რომ ტფილისზე ვ. კ. ვიტოვსკის გამოვლით ისარგებლოს პირადად მისგან დაწვრილებით ცნობათა მისაღებად და კლასში ვაკანსიის დასაჭერად, კეთილ ინებონ და მიმართონ (სასტუმრო ვეტცელში) მიხეილის ქუჩაზე ვ. კ. ვიტოვსკი დარჩება 27—28 სექტემბერს. (1—1521—1)

## მიიღება ხელის მოწერა

(მხოლოდ 15 ოქტომბრამდე)

## არჩილ ჯორჯაძის თხზულებათა მე-IV წიგნზე.

წერილები „ცნობის ფურცელ-მოამბიდან" 1901—2 წ.

ხელის მოწერით ეღირება 45 კაპ. (გამოვა 300 გვ. მეტი).

ფოსტის ხარჯად 10 კაპ.

## სექტემბრის 20-დან იხსნება

ქ. ტფილისში

## ნოტარიუსის კანტორა

მიხეილ ლავრენტის ძის ქართველოვისა.

განოვის ქუჩა, სახ. № 4. (6—1509—4)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის

განქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ი. მ. ახპიხოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

გნუჩევი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

მონხე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 სათ.

კალამკაროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უკლადნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეირაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

ხუდოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—12½ საათ.

რუდენკო—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ველიჩკოშვილი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ისხელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ყალამქაროვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველდღე 2—3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-ს საღამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის წრატით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (წ.—1248—100)

## ექიმი ვ. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 საათ. დიდი მთავრის ქუჩ., N 67, სახლი სვანიშვილისა.

## ექიმი ქალი კბილისა ოლ. ელიზბარიშვილი-ჭანტურიასი

ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე დილის 9—2 ს. და საღამოს 4—7 ს.; კვირა-უქმ. მხოლოდ დილის 9—12 საათამდე.

ვერა, ბელინსკის ქ., № 15, სახლი ელიზბაროვისა. (ო.—1451—36)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

## მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—114)

## ექიმი პ. არდაზიანი

შინაგან და ბავშვებ ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ძარღები).

ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, N 3. დილის 9—12 ს. საღამოს 5—7. (25.822.8,

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. პიმონოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

გ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. შელიჭაშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. გ. სობოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606"-ით.

(წო.—1090—166)

## ექიმი ბ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფ. სპეციალური ავადმყ., კუჭისა და წელებისა. მიღება დილ. 10—11 ს. (ბავშვ.) და 5—7 ს. (სხვოგ.). მიხეილის პროსპექ. N 36, ტელეფონი 388. 25—1442—33

## ექიმი ივ. გომართელი.

დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფთა მიღება დილით 8—12 საათ. საღამოთი 5—7 ს.-მდე.

ვერაზე, ოლგას ქუჩა, № 20. (ო.—818—10)

## ექიმი ე. ი. მინასიანცი

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლავ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ს სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-დე და საღამოს 6—7 საათამდე.

გრიბოედოვის ქუჩა, N 39, ტელეფონი N 1067. (100—1117—19)

## ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდი.

მედიცინის დოქტორი

## ი. გ. ჩუდნოვსკი

კიროჩნი ქ., სახ. № 13, ტელეფონი 1090 ოფიცერთა ეკონომ. საზოგ. პირდაპირ იღებს შინაგან და ნერვებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე დილის 9—11 ს. საღამოს 5—8 ს.-მდე. (20—1420—24)

## ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. N 5.

## ექიმი ი. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქუჩა N 12. 0—141)

დოქტორი მედიცინისა

## ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის. კიროჩნი ქ. სახ. N 18, თავ. გაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. (ო.—839—5)

## ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2— ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N სახლი ბაბაშვილისა. ფ)

## ექიმი მიხეილ ალაჯანოვი

სპეციალისტი საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებათა, დაბრუნდა, და განაახლა ავადმყოფთა მიღება ნაშუადღევის 1—4 საათამდე და საღამოს 7—9 ს.-დე. მიხეილის ქ., ტელეფ 38, (10.1496.



(25—1456—19)


## ტფილისი, 27 სექტემბერი

**იტალიისა და ოსმალეთის ომის გამო.**

მოულოდნელად დაიწყო იტალიისა და ოსმალეთის ომი და, როგორც დეპეშებიდანა სჩანს, გვგონია, ასევე მოულოდნელად დასრულდება. პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ოსმალეთმა ევროპის სახელმწიფოებს შუამდგომლობა სთხოვა ზავის ჩამოსაგდებადაო. ასეთი დასასრული ომისა, რომელიც ჯერ არც კი დაწყებულა, როდესაც მოწინააღმდეგეთ მთელი თავისი ძალღონე არც კი განუვითარებიათ, ადვილი მოსალოდნელი იყო. ევროპის სახელმწიფოებმა ყოველ-გვარი ღონისძიება იხმარეს, რომ იტალიისა და ოსმალეთის კონფლიქტი ვიწრო საზღვრებს არც კი გასცილებოდა და არ აეწეწ-დაეწეწა ბალკანეთის საკითხი, მუდმივი საბაბი ევროპის სახელმწიფოთა არსებობისა. რაკი ამ მიზანს მიაღწიეს და ლოკალიზაცია კონფლიქტისა უზრუნველ-ყოფილ იქნა, მებრძოლ მხარეთ გასაქანიც მოესპობათ. იტალია შედარებით ადვილად დაიჭერდა ტრიპოლისს, რადგანაც ფლოტი მას გაცილებით უფრო ძლიერი ჰყავს, ვიდრე ოსმალეთს. ოსმალეთს ადგილობრივ ტრიპოლისში, ცოტა ჯარი ჰყავს, შემდეგშიაც საკმაო რიცხვს ვერ გადაიყვანდა, რადგანაც ამისათვის ძლიერი ფლოტია საჭირო. ასე რომ, ომი წაგებულად უნდა ჩაითვალოს იმ წუთიდან, როდესაც ევროპის სახელმწიფოებმა ომის ასპარეზი შეზღუდეს.

ამის შემდეგ ომის გაგრძელება-გაძლიერება მხოლოდ უსარგებლო სისხლის ღვრა იქნებოდა. ოსმალეთი ჰგრძნობს ამას, ძალიან კარგად ხედავს, რომ ამისთანა პირობებში ომიდან გამარჯვებული ვერ გამოვა და ზავსა თხოულობს, თუმცა ამისთანა მოთხოვნა მის თავმოყვარეობის დამამცირებელია.

ამ რიგად, ოსმალეთმა კიდევ ერთი პოზიცია დაჰკარგა. განახლებული ოსმალეთი სცდილობს მოაწესრიგოს შინაური საქმეები, მოსპოს საუკუნოებით ჩანერგული დეზორგანიზაცია სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობისა. ამისათვის მოახდინა რეფორმა სამხედრო საქმისა, დაიწყო გაძლიერება ფლოტისა, რომელიც დღეს მეტად უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება. ამ განახლებულ ოსმალეთისა ევროპის გაუმაძღარ დიპლომატიას, რა თქმა უნდა, ეშინიან და სარგებლობს ყოველ-გვარის შემთხვევით, რომ ოსმალეთი არ გაძლიერდეს. ოსმალეთს მყუდრო ცხოვრება ჰსურს, არავის უსიამოვნებას არ აყენებს და მთელი მისი გულისყური იქითკენაა მიქცეული, რომ შინაური ცხოვრება მოაწესრიგოს. მაგრამ ევროპის სახელმწიფოებსაც სწორედ ეს უფრთხობს ძილს და სისტემატიურადავიწროვებენ ოსმალეთს.

ტრიპოლისის დაკარგვა ოსმალეთის თავმოყვარეობისთვის დამამცირებელია, მაგრამ ბრძნული პოლიტიკაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ რეალური ინტერესები ქვეყნისა თავმოყვარეობას არ შეეწიროს. იტალიისა და ოსმალეთის ომი აუცილებლად ოსმალეთის ფლოტის სრულს განადგურებას გამოიწვევდა, რაც ოსმალეთისთვის სასარგებლო არ იქნებოდა. ამის გარდა, ომის გაზვიადება საკითხს უფრო გაართულებდა და კიდევ კარგა ხანს შეაჩერებდა ოსმალეთის განახლების საქმეს, რაც აუცილებლად საჭიროა გაძლიერებისთვის.

ამისთანა პირობებში ზავი მართლაც, აუცილებელი ხდება, და ოსმალეთიც კარგად ითვალისწინებს თავის მომავალს, როდესაც მასა თხოულობს.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

◆ **ნამესტნიკის კანდიდატურა.** როგორც სატახტო გაზეთები გადმოგვცემენ, უკანასკნელ ხანს კავკასიის ნამესტნიკის თანამდებობაზე წამოყენებული კანდიდატურა ამურის გენერალ-გუბერნატორ გონდატისა უარუყვიათ.

◆ შავ-რაზმელთა გაზეთის „ზემშჩინა"-ს სიტყვით, მთავრობის უმაღლესი წრეები 1913 წელს რუსეთში **რევოლიუციურ მოძრაობას მოელიან.**

◆ „სვეტი" რუსეთის მთავრობას ურჩევს, მხარი დაუჭირეთ იტალიას, რადგანაც **ოსმალეთი საფრთხეს უმზადებს ურმიასა და ამიერ-კავკასიასაო.**

◆ **სეირნობა ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების სასარგებლოდ.** როგორც ვწერდით, 18 სექტემბრისთვის მუშტაიდში დანიშნული სეირნობა ცუდის ამინდის გამო არ გაიმართა. სამაგიეროდ კვირას, 25 სექტემბერს, ახალი კლუბის ბაღში გაიმართა დიდი სახალხო წარმოდგენა. დილის 11 საათიდან დაიწყო საბავშვო დღესასწაული სხვა და სხვა გასართობებით და გასტანა ნაშუადღევის 2 საათამდე, ხოლო 3 საათიდან ღამის 11 საათამდე გაიმართა სეირნობა მოზრდილთათვის. სამწუხაროდ, სეირნობას, როგორც დილით, ისე საღამოს ხალხი ნაკ-

ლებად დაესწრო, თუმცა ბაღში შესვლა მხოლოდ ხუთი შაური ღირდა. მთელი შემოსავალი 600 მანეთამდეა ხარჯი ჯერ-ჯერობით ცნობაში არ არის მოყვანილი.

◆ **ფუნიკულერის საზოგადოების შუამდგომლობა** ქალაქის გამგეობამ განიხილა და დაადგინა, დაავალოს გამგეობის წევრს თავ. ა. მ. არღუთინსკის, მოლაპარაკება გამართოს ამ საზოგადოებასთან. ფუნიკულერის საზოგადოება, როგორც ვწერდით, გამგეობას სთხოვს, ქალაქის კასაში შემოტანილ 10,000 მან. ზეს კონფისკაციას ნუ უზამთ, ტფილის-კოჯორის რკინის გასაყვანად ახალი ვადა მოგვეცით და სამაგიეროდ ქალაქიდან ფუნიკულერამდე მისასვლელ გზას ჩვენის ხარჯით გავაკეთებთო.

◆ **ხენატის განმარტება.** როგორც მკითხველთ ეხსომებათ, შარშან ქალაქის საბჭომ ხუთას-ხუთასი თუმანი გადასდო ნახიჩევანში სომეხ-თათართა შეტაკების დროს დაზარალებულთა და სახალხო მოძრაობისაგან დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ, მაგრამ ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა შეაჩერა, ქალაქის საბჭოს უფლება არა აქვს ქველმოქმედება თავის საზღვრებს იქით გაიღოსო. ქალაქის გამგეობამ ეს დადგენილება სენატში განასაჩივრა, მაგრამ სენატმაც ქალაქის საქმეთა საკრებულოს დაეთანხმა და საჩივარი უყურადღებოდ დასტოვა. ქალაქის გამგეობამ სენატის განმარტებას აღარ მოუცადა და ფული (10,000 მ.) დანიშნულებისამებრ გაჰგზავნა. ამრიგად, ეს ფული ქალაქის გამგეობის წევრებმა უნდა გადაიხადონ.

◆ **სახალხო უნივერსიტეტის** გამგეობა 1 ოქტომბრიდან ლექციების სისტემატიურ მართვას შეუდგა.

◆ **ორი დამხრჩვალი.** ბორნის ცოტა ზევით მტკვარში ერთი ქალი გადავარდა. ამას თვალი მოჰკრა შორი-ახლო მყოფმა ყმაწვილმა, მიეშველა და წყლიდან ამოათრია, მაგრამ ქალი კიდეც დამხრჩვალიყო. თურმე ეს ქალი სწორედ ამ ყმაწვილის საცოლე გამოდგა, რომლისთვისაც დედ-მამას ნება არ დაურთავს იმ ყმაწვილის შერთვისა. ამის მნახველი ყმაწვილი თითონაც გადახტა წყალში და დაიხრჩო. ვინაობა ჯერ არ იციან.

უნივერსიტეტის საზოგადოებასთან შესდგა საგანგებო სექცია ლექტორებისა 15 კაცისაგან.

◆ **დაკარგული ბავშვი.** 22 სექტემბერს, პირველ საპოლიციო ნაწილში პოლიციელს მიუყვანია 5—6 წლის ბავშვი, რომელიც, მისის სიტყვით, ქუჩაში დაუტოვებია მის დედიდა—ნინას და უთქვამს: აქ დამიცადე და ეხლავე მოვალო. რომ აღარ დაბრუნებულა, ბავშვს ტირილი დაუწყია. პოლიციელს წაუყვანია საპოლიციო ნაწილში. ეხლა ბავშვი მსახიობ შაქრო საფაროვთან იმყოფება, (ვერაზე კირპიჩნი მისახვევი სახლი № 7). ბავშვს თანა ჰქონია მეტრიკა, საიდანაც სჩანს, რომ მისი მამა არის გიორგი სოლომონის ძე კასრაძე (ქავთისხეველი). დედა—სოფიო. მეტრიკა მიუცია განჯის სარკინისგზო მღვდელს. მშობლებს შეუძლიანთ საფაროვს მიჰმართონ.

◆ როგორც გავიგეთ, ახალგაზდა **პოეტი ი. გრიშაშვილი ავად ყოფილა.**

◆ **კიევიდან შემდეგი დეპეშა მივიღეთ:** „ქართველმა სტუდენტობამ პანაშვიდი გადაიხადა ვიქტორ ებანოიძის სულის მოსახსენებლად. გულითად თანაგრძნობას უცხადებს მას მშობლებს, ამხანაგების მონდობილობით, ვენახვაძე".

◆ **ქართულ დრამატიულ საზოგადოების** გამგეობამ გამოსაცდელ წარმოდგენაზე გამოჩენილ უნარის მიხედვით შესაძლოდ სცნო თავის დასში მიიღოს ქ-ნი ამირაჯიბი და ბ. აბდუშელიშვილი.

◆ **ბელინსკის დღე.** გუშინ სახალხო სახლში სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის თაოსნობით გამართულ იქმნა ბ. გ. ბელინსკის დილა რუსეთის ამ შესანიშნავ კრიტიკოსის დაბადებიდან 100 წლის შესრულების გამო. დილამ კარგად ჩაიარა. ხალხი ბლომად დაესწრო.

◆ მიუნჰენის უნივერსიტეტში ფილოლოგიურ ფაკულტეტზე კურსდამთავრებულმა **ვლადიმერ სიმონის ძე გაჩეჩილაძემ გერმანულს ენაზე უთარგმნია სუმბათაშვილის ცნობილი დრამა „ღალატი"**. ცნობილ გერმანელ მწერალთა აზრით, პიესა მშვენიერის ენითაა თარგმნილი. სასურველია ეს დრამა დაიბეჭდებოდეს. მის გამოცემას 500 მანეთამდე დასჭირდება, და გამომცემელიც ხეირსა ჰნახავდა.

◆ 25 აგვისტოს კათოლიკეთა მიძინების ტაძარში საქართველოს საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოებამ გადაიხადა წირვა და პანაშვიდი თავის წევრის, განსვენებულ მღვდლის **მიქაელ თამარაშვილის** სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ სხვა და სხვა საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენელნი და ხალხი ბლომად.

◆ **გამოვიდა ჟურნალი „კოოპერაციის" მე-12-ე ნომერი** შემდეგის შინაარსით: 1) მოწინავე (**საკოოპერაციო ორგანოს საჭიროების გამო**), 2) განთიადის წინ, ლექსი მინსკისა, თარგმანი ნ. ჩხიკვაძის, 3) ანკეტა: **პროფ. ბაჟაევის წერილი**, 4) დავით რიკარდო, თევდორე ლლონტისა, 5) ფეხსაცმელის კოოპერატიული სახელოსნო, 6) მევენახეთა მდგომარეობა, 7) დამაკვირდი, 8) ნარევი და სხ.

ჟურნალი მხოლოდ ხელის მომწერლებს ეგზავნება. რედაქცია სთხოვს აგენტებს გამოგზავნონ ძველი ნომრების ანგარიშები 10 დღის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოცხადებული იქნება მათი ვინაობა გაზეთების საშუალებით. ვისაც კოოპერაციის საკითხი აინტერესებს, უნდა დაიჩქარონ ხელის მოწერა. წლიურად 2 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—1 მ. 50 კ., თვიურად 28 კაპ. ადრესი: ქუთაისი; „კოოპერაციის" რედაქცია.

## საზოგადოებანი და კრებები.

◆ საზოგადო კლუბში მომავალ შაბათს, 1 ოქტომბერს, ა. ა. ყალანთარი რეფერატს წაიკითხავს: „სიძვირის საკითხი". რეფერატის შემდეგ, საუბარი და სალიტერატურო სამუსიკო განყოფილება გაიმართება.

## სასწავლებლებში

◆ ქალაქის სასწავლო კომისიამ დაადგინა, ავლაბრის მე-3 პირველ-დაწყებითი სკოლის შენობა მასწავლებელ ქალთა საზოგადოებას დაუთმოს მოზრდილ ქალთათვის საღამოს კურსების გასამართავად.

◆ ქალთა უმაღლეს კურსებზე გუშინ წლიური აქტი იქმნა გადახდილი, რომელსაც კურსების მსმენელთა და პედაგოგიურ საბჭოს გარდა მრავალი მოწვეული პირიც დაესწრო.

◆ ი. ნ. ვერხოვსკი, რომელიც პეტერბურგიდან ქალთა უმაღლეს კურსებზე იქმნა მოწვეულნი, დასავლეთ-ევროპის ისტორიის კათედრის პროფესორად, დღეს პირველ ლექციას წაიკითხავს.

## სასამართლო

◆ **თავ. ქ. ფალავას საქმე.** ტფ. საგუბერნიო სამმართველო თანახმად ტფ. პალატის დასკვნისა, სრულიად მოსპო საქმე ბორჩალოს მაზრის უფროსის უფროს თანაშემწედ ნამყოფ თავ. ფალავასი, რომლის წინასწარი გამოძიება იყო დანიშნული. აბრალებდნენ სამსახურის დროს უკანონობის ჩადენას.

## ქუთაისი

◆ ქუთაისის საქიმო საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე, რათა საზოგადოებას ნება მიეცეს დაარსოს ქუთაისში სრულიად რუსეთის **ჭლექთან მებრძოლ ლიგის განყოფილება.**

◆ ქალაქის სასანიტარო **ექიმმა ჩარექოვმა თხოვნა შეიტანა** ქალაქის გამგეობაში, რომ ქალაქის ახალ საავადმყოფოში გადაიყვანონ. მის ადგილზე კი ორი ექიმი, ერთი სასანიტარო და მეორე გადამდებ სენიანთა საავადმყოფოს ექიმათ მოიწვიონ. („კოლხიდა").

◆ ორშაბათს, 26 სექტემბერს, დილის 10 საათზე, ქუთაისის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი ისტორიკოსის **მღ. მიხეილ თამარაშვილის** სულის მოსახსენებლად.

◆ თავად-აზნაურობის მიერ 18 აპრილს არჩეული **დეპუტაცია**, რომელსაც მინდობილი აქვს ნამესტნიკის წინაშე შუამდგომლობის აღძვრა შავი ზღვის რკინის გზის ქუთაისზე გამოყვანის თაობაზე, ტფილისში მხოლოდ ოქტომბრის 1 რიცხვეში გაემგზავრება. დეპუტაციის შეჩერების მიზეზი ის არის, რომ სენატორი ვატაცი, რომელიც ამ საქმის კარგი მცოდნეა, ამ ჟამად ტფილისში არ იმყოფება.

◆ **საურთიერთო ნდობის სასესხო-მიცემო კომიტეტმა** ქუთაისის ხელოსანთა საკრედიტო ამხანაგობის თხოვნაზე,—რომ მიეცეს მათ 2000 მანეთის სესხი,—უარი განაცხადა. („მნათობი").

## ბათუმი

◆ **ბათომის სამხედრო გუბერნატორმა დაამტკიცა:** ქალაქის თავის მოადგილეს თანამდებობაზე ე. მ. კრინიცკი და ლომბარდის გამგედ პ. დ. გამყრელიძე.

## პროვინცია

◆ აკეთი (გურია). ამ დღეებში აქ ქორწილში მოჩხუბართა გაშველების დროს რევოლვერით მძიმეთ დასჭრეს ყველასაგან საყვარელი მშრომელი მოხუცი აზ. ასანდო მგელაძე, დაჭრილი ბათომის საავადმყოფოში წაიყვანეს მაგრამ ოპერაციას ვერ გაუძლო და გარდაიცვალა. ნეტავი როდის მოიშლიან ჩვენი ახალგაზდები გიჟივით რევოლვერების ტკაცა-ტკუცს.

**შეცდომის გასწორება.** ჩვენი გაზეთის კვირის 400 ნომერში „მკითხველის შთაბეჭდილებაში" შემდეგი კორექტურული შეცდომებია შეპარული. დაბეჭდილია: ამოწმენდნენ, უნდა იყოს—ამოწმებდნენ. მძარცველი—უნდა იყოს—მძრახველი. საჯაოხვრულ, უნდა იყოს საჯაოხურად. ბოლსტა, უნდა იყოს შოლტსა. ღალატცბს—ღალატობს. მსწრავი—მსწრაფ. სურონა—სუსანა. ქუთათურობა—ქუთათური საბაო. წიაღში—ნომერში-

მესამე წერილში „მეტი მითმენა და მეტი ყურადღება", მესამე სვეტში სწერია: ჩვენზე უფრო დაწინაურებულ, თუმცა ერობაში ჩამორჩენილ ავსტრიის ერთა ცხოვრებას. უნდა იყოს: ჩვენზე... თუმცა ევროპაში ჩამორჩენილ და სხვა. მეოთხე სვეტში სწერია: თუ რამდენად არის დაკავშირებული ერთი ხალხი მეორესთან: უნდა იყოს—თუ რამდენად... ერთი საკითხი და სხვა. ამავე სვეტში, ქვემო სწერია: ოლქობრივი თვითმმართველობაც არსდება. უნდა იყოს: ეროვნული თვითმმართველობა და სხვა.

# ტფილისის ქართველ ამომრჩეველთა მოწოდება

(დასასრული *).

ეს პროგრამა არის შემდეგი:

ყველაზე საგულისხმო ქალაქის დინანსთა საკითხია, განსაკუთრებით ეხლა, როცა ეს საქმე სრულ არევ დარევას გზას ადგას, რადგან ქალაქის კასას ბევრი ისეთი ხარჯი აწევს, მასაც საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად: პოლიციის შენახვისათვის გადადებულ ხარჯში მონაწილეობა, სამხედრო ბინების გადასახადი და სხვა უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანი, რომელთა გამოისობითაც ქალაქის თვითმართველობათ და კერძოდ ტფილისისას, უძნელდებათ იმ მიზნის განხორციელება, რომელიც სამუნიციპალიტეტო მოღვაწეობის დიდი ხნის მოქმედების ნაყოფია. მაგრამ ფინანსთა გაუმჯობესებას, საზოგადოდ და კერძოდ ტფილისში მხოლოდ სავალდებულო ხარჯი როდი აფერხებს. თვითმართველობის ორგანოთა პოლიტიკას ძირითადი გავლენა აქვს ქალაქის ქონებრივ გაუმჯობესებაზე.

ამიტომ ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფი, თავის კანდიდატებს ავალებს ქალაქის საფინანსო საქმე ამ ნაირად გამოაკეთონ: 1) გადასახადის წესთა გაუმჯობესებით; 2) უნაყოფო ხარჯის მოსპობით; 3) ქალაქის დაწესებულებათა და მრეწველობისათვის საჭირო მასალის და ნაწარმოებთა შეძენის წესთა გაუმჯობესობით; 4) საქალაქო მრეწველობისა და მიწის ექსპლოატაციის გონივრულად მოწყობით; 5) საჭიროა იჯარისა და დაკვეთის საქმე გაწესრიგდეს; 6) საჭიროა გრძელვადიან და დიდი სესხის აღება ისეთ სამუნიციპალიტეტო ახალ დაწყებულების განსახორციელებლად, ან რისამე ასაშენებლად, რომელიც ქალაქის შემოსავალს გააძლიერებს.

ამის გარდა, ჯგუფს საჭიროდ მიაჩნია შემდეგი ცვლილება და გაუმჯობესება შეიტანოს ქალაქის მეურნეობის უკვე არსებულ დარგებში:

**1. ქალაქის გამშვენება.**

1) დაუყოვნებლად მოიკირწყლოს ყველა ქუჩა და მოედანი, რომელიც დღევანდლამდე მოუკირწყლავია, ან ისე არაა მოკირწყლული, როგორც ქალაქის შუაგულში.

2) საჭიროა „სკვერებისა" და საზოგადო ბაღების გაშენება საქალაქო მიწაზე და თუ ასეთი მიწა არ არის, ქალაქმა უნდა შეიძინოს ზემოხსენებულ მიზნისთვის. საჭიროა აგრეთვე ქუჩების ორივ მხრივ დაგეგმულად ჩაიყაროს ხეები.

3) საჭიროა ქალაქის განათების გაუმჯობესება, განსაკუთრებით განაპირა უბნებში.

4) დაუყოვნებლივ უნდა იზრუნონ ნიაღვრისა და წყალ-დიდობის თავიდან ასაცილებლად. უნდა გაძლიერდეს ტეხნიკოსთა ზედამხედველობა კერძო პირთა საზოგადო და სახაზინო დაწესებულებათა მიერ ქალაქში აგებულ შენობებზე. ეს საჭიროა რათა საამშენებლო დებულებანი არ დაირღვეს და ყოველი უბედურებაც თავიდან აიცილონ.

**2. სასანიტარო მხარე.**

1) სანიტარების მხრივ ზედამხედველობა უნდა გაძლიერდეს, განსაკუთრებით სასმელ-საჭმელისა. ამისათვის აუცილებელია საქმეში საზოგადოებრივი ელემენტების ჩარევა. მუდმივი მომქმედი სანიტარიის მზრუნველთა ინსტიტუტი უნდა არსებობდეს, მსახურთა რიცხვს მოემატოს და ქალაქი რამდენიმე სასანიტარო უბნად დაიყოს.

2) უნდა განხორციელდეს, სასანიტარო მხრივ ქალაქის გასაუმჯობესებლად, საერთო სავალდებულო კანალიზაცია.

3) ქალაქის ნაგვისა და ნაყარნუყარის გასაქრობად ახალი საშუალების გამოგონებაა საჭირო.

4) განსაკუთრებული სასანიტარო გადასახადი უნდა დაწესდეს.

**2. სამკურნალო დახმარება.**

1) საჭიროა სახლში მომუშავე ექიმთა რიცხვის გადიდება და ქა-

* იხ. „სახალ. გაზ." N 409.

# გერმანელთა ახალშენები ამიერ-კავკასიაში

2. *)

სხვადასხვა საამხანაგო დაწესებულებანი (კოოპერაციები); მომხმარებელი და გამსესხებელი ამხანაგობანი; საზოგადო სარდაფი ანუ მარანი.

ზემოდ ჩამოთვლილი მაგალითებიც საკმარისია იმის დასამტკიცებლად, თუ როგორის ერთსულოვნობით მოქმედობენ გერმანელები. მაგრამ მათი საზოგადოებრივი სულის სიძლიერე გამოიხატება მათგან დაარსებულ ამხანაგობებში. ყველას კარგად მოგეხსენებათ, თუ როგორ ძვირად ჰყიდიან საქონელს მოვაჭრეები. სიძვირესაც ჯანი გავარდეს, კერძო მოვაჭრეს ხშირად არც კი აქვს ის საქონელი, რაც გინდა, ან თუ აქვს და იყიდე, ხშირად უვარგისია. საჭიროა, რომ კაცმა საქონელი იაფიც იყიდოს პირდაპირ საქონლის გამკეთებელთან, მაშინ საქონელი იაფიც დაჯდება და კარგიც იქნება. მაგრამ ერთი კაცისათვის ეს მოუხერხებელია. ერთ კაცს ცოტა საქონელი სჭირდება და ცოტა საქონლის გამოწერა კი ძვირად ჯდება. აი ამისათვის საჭიროა სხვებთან შეერთება, ამხანაგობა, საამხანაგო დუქნის გახსნა.

ყოველ ახალშენში საამხანაგო დუქანი არსებობს, რომელსაც „კონზუმს" ეძახიან. ამხანაგობის წევრებად თითქმის ყველა მცხოვრებლები არიან. საწევრო გადასახადი ერთი თუმანია. „კონზუმში" მოიპოვება ყოველივე საჭირო საქონელი: წვრილმანი, ფართლეულობა, რკინეულობა, მეურნეობისათვის საჭირო იარაღები, ყველი, ერბო, შაბიამანი და სხვა. ყოველი გერმანელი „კონზუმში" ვაჭრობს. „კონზუმი" ვაჭრობაში არავის ატყუებს, და თუ ვინმე ნისიად ჰხარჯავს, ზედმეტს არ აწერს, როგორც ეს კერძო მოვაჭრეებმა იციან. ახალშენში რამდენიმე კერძო მოვაჭრეც არის, მეტ ნაწილად სომხები. კერძო მოვაჭრეები „კონზუმის" დიდი მტრები არიან, და სცდილობენ კონზუმს სახელი გაუტეხონ, ავრცელებენ მასზედ სხვადასხვა ჭორებს, მაგრამ მაინც ვერასა ვნებენ. მაგ., ერთხელ ერთი ვაჭარი ნავთს კონზუმთან შედარებით იაფად ჰყიდდა. ყველგან იმას ლაპარაკობდა, კონზუმში ყველაფერი ძვირად იყიდებაო, მაგათ რა იციან ვაჭრობისაო. მაგრამ ამ ვაჭარს გაუზომეს საწყაო ჰურჭელი და ნაკლები აღმოჩნდა. მაშინვე ვაჭრობა აუკრძალეს და ახალშენიდან გააძევეს. ყველა მოვაჭრემ სოფლისაგან უნდა აიღოს ვაჭრობის ნებართვა. ამ ბოლო დროს გერმანელები კერძო მოვაჭრეებს აღარ აძლევენ ვაჭრობის ნებას და „კონზუმს" კი აფართოვებენ.

გარდა „კონზუმისა", გერმანელებს აქვთ საამხანაგო ყასბის დუქანი. ვინ არ იცის ყასბების თავგასულობა! ისინი ხომ ხორცს ძვირად ჰყიდიან, მაგრამ ვინ იცის, როგორი საქონლის ხორცს ჰყიდიან. ჩაკვდება სადმე ხარი, ხორცს საყასბოში მიარანჟინებენ. გახდება ძროხა ავად, და ავადმყოფ ძროხის ხორცსაც საყასბოში ამოაყოფინებენ თავს. ჩვენ კი უვარგისი ხორცით ვიკვებებით. ამასაც გერმანელებმა ამხანაგობა წამოუყენეს წინ. საამხანაგო საყასბოში მუდამ სადი ხორცი იყიდება. ხორცის ფასი მოახალშენთ გერმანელებისათვის სხვაა, გარეშეებთათვის—სხვა. ეს იმიტომ, რომ გერმანელები თავიანთებთაგან არას იგებენ, სხვებზე კი მოგებით ჰყიდიან. ხორცის ფასი იმაზეა დამოკიდებული, თუ დაკლული საქონელი რა დაუჯდათ, ამიტომ ფასი ძალიან ცვალებადია, მაგ. თუ დღეს ხორცი გირვანქა 12 კაპ. იყიდებოდა, შეიძლება ხვალ იმაზე უკეთესი ხორცი 8 კაპ. გაიყიდოს.

საამხანაგო დუქნის გარდა, გერმანელებს საამხანაგო ხუთიანქიცა აქვთ და ექიმიცა ჰყავთ დაქირავებული.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილ ამხანაგობებისა, რომელთაც მომხმარებელი ამხანაგობა ჰქვიან, გერმანელებს აქვთ გამსესხებელი ამხანაგობაც. როცა კაცს საქონელი აქვს გასაყიდი, მაგ., ღვინო, ცდილობს რომ მალე გაჰყიდოს, რათა ფული აიღოს და ხელი მოინაცვლოს. რადგანაც ღვინო ბევრ სხვასაცა აქვს გასაყიდი, და იმათაც ფული უჭირთ, ამისათვის ერთმანეთს ეჯიბრებიან და ღვინოს აიაფებენ. ღვინოს ჩარჩები ყიდულობენ იმისთვის კი არა, რომ სულ თითონ დალიონ, არამედ იმისთვის რომ შემდეგ გაყიდონ და ფული მოიგონ. ჩარჩები ცდილობენ, რაც შეიძლება იაფად ჩაიგდონ ხელში საქონელი. ძალიან კარგი იქნებოდა, თუ ღვინოს ჩარჩებს კი არ ჩაუგდებდით ხელში, არამედ უიმათოდ პირდაპირ ღვინის მხმარებელზე გავყიდიდეთ ღვინოს, მაშინ მოგება ჩვენვე დაგვრჩებოდა. ღვინის გაყიდვა პირდაპირ მხმარებელზე ერთი კაცისთვის ძნელია, აქაც საჭიროა შეამხანაგება, ამხანაგურად ღვინის გაყიდვა. თუმცა გერმანელები „ბიტელის" საშუალებით თითქმის ერთნაირ ფასებში ჰყიდიდნენ ღვინოს, მაგრამ მაინც იმდენად ვერ ასწევდნენ ხოლმე ღვინის ფასს, რამდენადაც შესაძლებელი იყო. ის უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ელენენდორფის ღვინოებს მეტ ნაწილად ორი მდიდარი კაცი ყიდულობდა ფორერი და ჰუმმელი. ისინი ღვინის ფასს ძალიან დასცემდნენ ხოლმე. თუმცა ახალშენში გამოცხადებული ყოფილა ამა და ამ ფასზე იაფად ნუ გაჰყიდით ღვინოებსაო, მაგრამ ფორერს ვედრო ღვინო სამ აბაზამდე დაუყვანია. აი ამასთან საბრძოლველად მასწავლებელმა რეიტენბახმა *) შექმნა ღვინის გამოყიდველთა ამხანაგობა, რომელსაც სახელად უწოდეს „კონკორდი" (შეთანხმება) კონკარდიის დანიშნულება ის არის, რომ კარგ ფასებში იყიდებოდეს გერმანელების ღვინოები. ელენენდორფის ღვინო კავკასიაში ძალიან ცოტა გადის, ამისათვის საჭირო იყო, რომ ეს ღვინოები რუსეთში და ციმბირში გაესაღებინათ. რუსეთში კი ნამდვილი ღვინო არა საღდება, ამისათვის გახდა ელენენდორფის ღვინოების სხვა და სხვა ნაირად დამზადება. „კონკორდიამ" ააშენა თავისათვის საამხანაგო სარდაფი, მოიწვია ღვინის მკეთებელი და შეუდგა ღვინოების დამზადებას. ნამდვილ ღვინოს ურევენ შაქარს, სპირტს, სხვა და სხვა შარბათეულს სურნელებას და ამზადებენ მრავალ გვარ ღვინოებს: შხაპუნა ღვინოს, ტკბილს, მუსკატს და სხვა. ერთი და იმავე ღვინისაგან ხუთ-ექვს ნაირ ღვინოს აკეთებენ. ესე შეზავებული ღვინო კი ძალიანა საღდება რუსეთის ბაზარზე და კარგი ფასიცა აქვს. „კონკორდიის" საქმეები ძალიან კარგად მიდის და ბევრ ღვინოსაც ასაღებს. ამ ამხანაგობამ ძალიან ასწია ღვინის ფასი. თუ წინად ერთი ვედრო ღვინის ფასი სამ აბაზამდე ჩამოდიოდა, ეხლა მანეთზე ძირს აღარ ჩადის.

როდესაც ძალიან ბევრი ღვინო მოდის და მოსალოდნელია, რომ ღვინი ფასი დაეცემა, ზედ მეტ ღვინოებს კანიაკად ჰხდიან, და ბაზარს არ ატყობინებენ ზედ მეტ ღვინის მოსვლას.

თუმცა ელენენდორფში და სხვა ახალშენებშიაც ყველა გერმანელი ცალკე აყენებს ღვინოს და ყველას თავისი ცალკე მარანი აქვს, მაგრამ ახლად მოშენს ახალშენში კი თავის საკუთარი სარდაფი არავისა აქვს. მართლაც და სარდაფის აშენება ძალიან ძვირი ჯდება. მიწის ამოთხრა, კედლების ამოყვანა, თაღის გადაყვანა ბევრს ფულს თხოულობს. მაგრამ თუ ყველას ერთი საზოგა-

(* იხ. „სახ. გაზეთი" № 407.

*) საზოგადოდ გერმანელთა მასწავლებლები დიდ შრომას ეწევიან საამხანაგო დაწესებულებებში. კონზუმი—საამხანაგო სავაჭრო, არყის საამხანაგო სახდელიც მასწავლებელ რეიტენბახის შრომითაა შექმნილი. სხვა ახალშენებშიაც მასწავლებლები უძღვიან სათავეში ამხანაგობებს

ლაქის სააავადმყოფოთა განყოფილების დაარსება იმ უბნებში, სადაც არ არის. აგრეთვე საჭიროა ავადმყოფთათვის საწოლების გამრავლება და არსებულ საავადმყოფოებსა და სამკურნალოებში საქმის გაუმჯობესება.

2) რამდენიმე ახალი სამშობიარო თავშესაფარი უნდა აიგოს, და სულით ავადმყოფთა თავშესაფარი საფსიხიატრო საავადმყოფოდ გადაკეთდეს.

3) საქალაქო აფთიაქის ექსპლოატაცია მეურნეო საშუალებით უნდა სწარმოებდეს და ქალაქის საავადმყოფოებსა და სამკურნალო დაწესებულებასთან დღევანდელი სააფთიაქო საქმე უნდა გაუმჯობესდეს.

**4. ხალხის განათლება.**

1) უნდა შემოღებულ იქმნას საყოველთაო, სავალდებულო პირველდაწყებითი სწავლა და სკოლათა რიცხვი ყველა ეროვნებას თანასწორად უნდა გაუნაწილდეს. საპროფესიო სკოლათა რიცხვი უნდა გადიდდეს.

2) საჭიროა საჯარო ბიბლიოთეკის გახსნა და არსებულთა გაუმჯობესება.

3) ქალაქის განაპირა უბნებში სახალხო აუდიტორიები უნდა გაიხსნას და სახალხო წარმოდგენების და ლექციის მმართველ საზოგადოებასა და წრეებს ფული უნდა ეძლიოს.

**5. ქალაქის ქონება.**

1) ქალაქის დაწესებულებათათვის საკუთარი შენობის შეძენაზე უნდა იზრუნონ.

2) ქალაქის საჭიროებათათვის შეძენილ უნდა იქმნას ქალაქის სხვა და სხვა ნაწილში მამული. მაგ., მოედნისა, „სკვერისა", ბაზრისა, შენობისა და ქუჩების გასაფართოვებლად სხვა საჭიროებათათვის.

3) ქალაქის მოძრავ და უძრავ ქონების დავთარი უნდა შესდგეს.

**6. საქალაქო სამსახურის საქმის რეორგანიზაცია.**

1) საჭიროა ბუჰღალტერიის და ანგარიშის საწარმოო შეცვლა ქალაქის ყველა დაწესებულებაში. სამაგიეროდ შემოღებულ უნდა იქმნას გაუმჯობესებული საანგარიშო სისტემა.

2) ავჭალის წყალსადენის და წყლის საქმის საგამგეო შეცვლა-გაუმჯობესება.

3) სავაჭრო-სამეურნეო პოლიციისა და სასამართლოს საქმის რეორგანიზაცია.

4) საბჭომ თვითმართველობის ყველა ხელქვეით დაწესებულებათ თვალყურის სადევნებლად დამოუკიდებელი სარევიზიო-საკანტროლო ორგანო უნდა დაწესდეს.

**ჩამოთვლილთ გარდა ჯგუფის აზრით მომავალმა საბჭომ შემდეგი საკითხები უნდა გადაწყვიტოს:**

1) ახალი წყალსადენი გაკეთდეს და წყალი გაიაფდეს.

2) ტრამვაი ქალაქის საკუთრებად უნდა გადავიდეს.

3) საბოლოოდ გადასწყდეს საბაქტერიოლოგიო სადგურის დაარსების საკითხი.

4) ახალი საქალაქო ბაზრები უნდა დაარსდეს და ჩარჩების წინაალმდეგ საჭირო ზომები მიიღონ.

5) უპირველეს საჭიროებათა და სანოვაგეზე ნიხრის დაწესება და ქალაქის მიერ სავაჭრო დუქნებს და ფურნეების გამართვა.

6) მცხოვრებთა საბინადრო სახლების საშოვნელად და ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად ქალაქმა თავის მამულზე სახლები უნდა ააშენოს და შიგ ჰიგიენურად მოწყობილი და იაფი სადგომები გამართოს.

7) ქალაქის საჭიროებისათვის და საზოგადოდ აგურის გასაიაფებლად, საჭიროა ქალაქის მამულებში აგურხანის გამართვა.

8) უნდა დაარსდენ ღარიბთათვის უბნის სამზრუნველონი.

აი, ამ პროგრამის განხორციელება აქვს მიზნად ჯგუფსა. მან იცის როგორი ძნელია ამ პროგრამის ცხოვრებაში განხორციელება. ამისათვის საბჭოში შეუდრკელნი, ნიჭიერნი, მომზადებულნი და ქალაქის საკეთილდღეოდ გულწრფელნი და პატიოსნად მშრომელნი უნდა გავიყვანოთ. ისინი მზად უნდა იყვნენ, რათა მშობელ ქალაქის ინტერესებს ერთგულად ემსახურონ. ამიტომ ჩვენ, უბნებში მომხდარ ანკეტის მიხედვით, ქართველ ამომრჩევლებში 25-დე ქართველი ამომრჩეველი გვყავს მხედველობაში. ამ კანდიდატების სიას თავის დროზე გამოვაქვეყნებთ.

სხვა ერის მსგავს ჯგუფებთან შეთანხმების მიხედვით, ჩვენ ეს სია მთელ ქალაქის სასურველ კანდიდატთა რიცხვს უნდა ჩავურთოთ, სადაც იქნებიან სომხები, მაჰმადიანნი, რუსები, გერმანელები და სხვანი, რომელთაც სხვა ჯგუფები დაასახელებს. უნდა ყოველი ზომა მოვიხმაროთ, მიუკიბ-მოუკიბველად, პატიოსნად, საერთო ძალით და გზის გადაუხვევლად ამ სიაში ჩაწერილი კანდიდატები გავიყვანოთ ხმოსანთა არჩევნებში, ამ წლის ნოემბერში რომ მოხდება.

ამ საშუალებით ჩვენ იმედი გვაქვს ტფილისის ყველა ერთა წარმომადგენლების სამართლიანი მოთხოვნილებანი დავაკმაყოფილოთ, ქალაქის საბჭოში საქმის კაცნი და დემოკრატული ელემენტი გავიყვანოთ და თანამედროვე სამუნიციპალიტეტო ცხოვრების გართულებისაგან წარმოშობილ საჭიროებათა დამაკმაყოფილებელი და განახლებული საბჭო შევქმნათ.

დაე, ქალაქის მცხოვრებთა ყველა ელემენტმა, ეროვნების განურჩევლად, ვინც კი ჩვენს მისწრაფებას თანაუგრძნობს, ჩვენთან ერთად, პატიოსნად იაროს. ყველასათვის ძვირფას ტფილისის კეთილდღეობისთვის, ერთ დიდ ოჯახად შეერთებულებმა, სოლიდარულად, ნამდვილ ძმურად, დავივიწყოთ წინანდელი უთანხმოება უსიამოვნებანი, კავკასიის სხვა ქალაქებს მაგალითი მივსცეთ და საარჩევნო ყუთებთან ასე მივიდეთ: ეს საჭიროა, რათა ჩვენი საუკეთესო ადამიანთა სურვილის განხორციელებას ხელი შევუწყოთ და საქმიანი, გადემოკრატებული და თავის ეროვნულ შემადგენლობით ყველა ერის სამართლიან მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი საბჭო შევადგინოთ.

ქართველ ამომრჩეველთა
მთავარი ბიურო.

# იტალიისა და ოსმალეთის ომი

**დეპეშები.**

24 სექტემბერი.

**პეტერბურგი.** იტალიის მთავრობის განცხადებით კონტრაბანდათ ჩაითვლება: ზარბაზანი, თოფი, მოკლე თოფი, რევოლვერი, დამბაჩა, ხმალი და სხვა იარაღი, ყოველნაირი საომარი მასალა, საზოგადოდ ყველაფერი, რაიც დაუყოვნებლივ ხმელეთისა და ზღვის ჯარის შესაიარაღებლად გამოდგება.

**ათინა.** ათინის საგენტო იტყობინება, ოსმალებმა სამოსზე 500 კაცი გადაიყვანეს. ამ ნაბიჯით მან დაარღვია კუნძულის 1832 წ. სტატუტი, რომლის უზრუნველყოფაც ნაკისრი ჰქონდათ საფრანგეთს, ინგლისს და რუსეთს.

**პეტერბურგი.** ოტომანთა მთავრობამ სავაჭრო გემებს, რომელთაც დარდანელი უნდა გაიარონ, აუკრძალა ღამის 12 საათის შემდეგ გავლა სედელუარსა და გუმკარს შუა. ზღვის პირს ყველა სანთური ჩააქრეს.

**კანეა.** ბერძენთა ჯარის მობილიზაციის თაობაზე გავრცელებულმა ხმამ იმედიანობა დაბადა, ხალხი აღაფრთოვანა. მთავრობის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეთა შორის სერიოზული უთანხმოება ჩამოვარდა.

**სტამბოლი.** გაზეთები სწერენ, იმამმა იასიამ ოსმალეთთან დროებით ზავი დასდო და იმერეთში იტალიელების წინააღმდეგ ჰაზავათი (წმ. ომი) გამოაცხადა. ნავთსადგურში იტალიის ორი კატარღა დაატუსაღეს.

**ქაირო.** მთავარმა სააგენტომ სერვიცი მარიტიმი იტალიანიმ საფოსტო ადმინისტრაციას შეატყობინა, იტალიისა და ეგვიპტის შუა ყოველგვარი საფოსტო მიმოსვლა შეწყვეტილაო. იტალიამ პორტსაიდში მდგარ ოსმალეთის გემების საზვერად კრეისერი გაჰგზავნა.

**ბელგრადი.** ირწმუნებიან, სერბია პორტას ნეიტრალობის ნოტას რომ გადასცემს სერბიის ელჩი სიტყვიერად მოელაპარაკება ოსმალეთს და განუცხადებს: თუ ბალკანეთში რაიმე მოძრაობა მოხდა და თუ ოსმალეთის პროვინციაში მცხოვრებ სერბიელებს რაიმე ევნოს, სერბია თავისუფლად იმოქმედებსო.

**სტამბოლი.** ოტომანის საგენტო იუწყება, ტრიპოლის რომ ზარბაზანი დაუშინეს, ბევრი კერძო ხალხი დაიხოცა და დაიჭრაო.

„ტანინი" ომის გაგრძელების მომხრეა და ამბობს, სახელმწიფოები ზავს უზრუნველჰყოფენო. ურჩევს, იტალიელები ოსმალეთიდან განდევნეთ და ისინი იტალიას რომ წავლენ, ომის მოწინააღმდეგეთა ბანაკს გააძლიერებენო.

**სტამბოლი.** პორტა ოფიციალურად იტყობინება: 20 სექტემბერს იტალიელებმა ტრიპოლის ზარბაზანი დაუშინეს, რომელმაც შვიდ საათს გასტანა. სიმაგრეებიდანაც უპასუხებდნენ და იტალიის გემება დიდი ზიანი მიაყენეს. სროლა საღამოთი შეწყდა: კომენდატი დილით სროლის განახლებას ელოდა.

**რომი.** „ჯიორნალე-დ-იტალია" ტრიპოლის აღების თაობაზე სწერს: თითქის 13 საუკუნის შემდეგ ტრიპოლი ხელ-ახლად ხედავს რომის ემბლემას, რომელიც ბარბაროსობის ხნის დასასრულს მოასწავებს. ტრიპოლელ არაბებსა ჰშურთ ეგვიპტისა და ტუნისის აყვავება. იტალიამ მოლოდინი არ უნდა გაუცრუოს.

**სტამბოლი.** ოტომანის საგენტო იუწყება, მინისტრთა საბჭომ დაადგინა ოსმალეთიდან ყველა იტალიელები განიდევნოსო.

იგივე საგენტო იტყობინება: იტალიის გემებმა ჯოვანი მედუას ზარბაზანი დაუშინეს, სიმაგრეებიდან უპასუხებდნენ. იტალიის ერთი კანჯო ჩაძირეს ჯარის კაცებითურთ. იტალიის ერთი გემი სიმაგრეებიდან დააზიანეს. ქალაქი ყუმბარებმა დააზიანა. იტალიელები გავიდნენ.

ვენაში მყოფმა ელჩმა რეშიდ-ბეიმ განაცხადა, გარეშე საქმეთა მინისტრობას ვერ ვიკისრებო.

**რომი.** (?) ფრანგ რადიკალთა პარტიის კონგრესმა მთავრობისადმი ნდობის საკითხი წამოაყენა.

**ტურინი.** სამეფო თეატრში ჯიოლიტის პატივსაცემლად 1,100 კაცისთვის ნადიმი გაიმართა. ნადიმს მინისტრები, 600 სენატორი, დეპუტატები და განთქმული მოღვაწენი დაესწრნენ. ჯიოლიტის ოვაცია გაუმართეს.

25 სექტემბერი.

**ოსმალეთი ზავს ითხოვს**

ოსმალეთი ზავს ითხოვს და იტალიის ყველა მოთხოვნილებაზე თანხმდება. იტალიელების განდევნა ფაქტიურად არ მოხდება. მინისტრთა საბჭო ამ გადაწყვეტილებას შუაღამის კრებაზე დაადგა, როცა ავსტრიისაგან საკულისხმო ცნობა მოუვიდა. ოტტომანის საგენტოს სიტყვით, პორტას გადაუწყვეტია მეორედ მიჰმართოს სახელმწიფოებს, შუამავლობა და დახმარება სთხოვოს სისხლის ღვრის შესაჩერებლად.

იტალიის გემები ადრიატიის ზღვის ოსმალეთის ყველა ნავთსადგურში შედიოდა, სან-ჯიოვანი-დიმედუას, სანტო-კარანტას დარ ეშალიეს ზარბაზანს უშენდა. სროლა იმან გამოიწვია, რომ სავაჭრო გემების დათვალიერების დროს, იტალიის კრეისერებს სიმაგრეებიდან სროლა დაუწყეს.

**ათინა.** ათინის საგენტო იუწყება, ტყუილია „იენი-გაზეთის" ცნობა, ვითომც ბერძენთა ოსმალთა ჯარს სროლა ჰქონოდეთ საზღვარზეო.

**რომი.** გემებზე ჯარის გადასხმა გრძელდება. ამ საქმეს 29 სექტემბერს გაათავებენ. ხმა გავარდა, 80 საბარგო გემი იგზავნებაო. ჯარის მიმოსვლის გამო მატარებლების მიმოსვლა დარღვეულია.

**ათინა.** კორინფის სრუტის საზოგადოებამ გადასწყვიტა, სრუტის კარი ორივე მეომარ მხრის ივის დაჰკეტოს.

სამოსის პალატის დეპუტატებმა პროტესტი განაცხადეს ოსმალეთისაგან 500 ჯარისკაცის მოყვანის გამო. პროტესტი სამოსის მთავარმა პორტას გადასცა.

**გაზეთებიდან**

**ბრძოლა.**

ხმა გავარდა, მიტილენთან იტალიელთა და ოსმალთა გაცხარებული ბრძოლააო.

**დემონსტრაციები.**

ჟენევასა და ციურიხში იტალიის საწინააღმდეგო მანიფესტაციები გაიმართა.

**დროებითი ზავი.**

სალონიკში მყოფი გერმანიის ელჩი იუწყება, მეომრებმა ორი დღით ზავი ჩამოაგდესო.

**კომენდანტის მოწოდება.**

იტალიის მიერ დანიშნულმა ტრიპოლის კომენდანტმა მოწოდებით მიჰმართა ტრიპოლის მცხოვრებთ. იგი მოუწოდებს, იტალიას დაჰმორჩილდით, სამოქალაქო და საპოლიტიკო უფლებანი მოგენიჭებათ, თქვენს სარწმუნოებასა და ადათს არ შევეხებითო.

**ფრანგები ტუნისში.**

ტუნისში ფრანგი მოხელეები ტრიპოლის ვილაეტში ოსმალების გადასვლას ხელს უშლიან. რამდენიმე აფიცერი შეიპყრეს.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

25 სექტემბერი.

**საზღვარ-გარეთ.**

**აბო.** გუშინ დიდის ამბით დაასაფლავეს მოკლული ქარგიკანტი იმპერატ. გოფგერისტი მის კუბოს ბევრი გვირგვინი ამშვენებს, სხვათა შორის ფინლანდიის გენერალ-გუბერნატორისაგან, სენატის ორივე დეპარტამენტისაგან, ბრალმდებელთა ექსპედიციისაგან, აბოს გოფგერიხტისაგან, ფინლანდიის ორგანიზაციათა და დაწესებულებათაგან, რომელთანაც ურთიერთობა ჰქონდა განსვენებულსა.

**ბერლინი.** ბერლინის თუჯის სადნობ ქარხანაში 2400 მეტი მუშა გაფიცულა. ამის გამო მანქანის მკეთებელ ბევრ ქარხანაში მუშაობა შეწყვეტილია.

**პეკინი.** მარილის საქმეთა მთავარი გამგეობა მარილის საქმეთა პალატად გადაკეთეს. ამ საქმის მეთაურად ისევ შერლოკი ცზაიგზე დაინიშნა.

**პარიზი.** მინისტრთა საბჭოს სხდომაზე დე-სელვმა სთქვა, გერმანიასთან მოლაპარაკების საქმე მშვენივრად მიდისო.

მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა, სამხედრო და საზღვაო სამინისტროსთან სატეხნიკო კომისია დაარსოს, რომელიც თოფხანის საქმეს მოაწესრიგებს.

**პრაგა.** ოლმუცში ჩეხთა გამომცემელ საზოგადოების უძველესი მოღვაწე, 27 წლის შტერი-ეგნატი ყურში გარდაიცვალა.

**პარიზი.** მომავალ კვირის რუსის დელეგატებისა და საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენელთა თათბირი დაიწყება, რუსეთ-საფრანგეთის სალიტერატურო ხელშეკრულებების თაობაზე.

**სეული.** კორეაში სეულ-ფუზანის უგრძელესი ტელეფონის კეთება დაამთავრეს.

**დორტმუნდი.** შახტა „მთავარი გარდენბერგში" ახაზიდი მაგთუდი გაწყდა. ცხრა კაცი მოკვდა.

**ლოკრონსა.** წყალდიდობამ ასი ადგილი დააზარალა. იტას ვისკონსინში კაცი დაირჩო. ზარალი რამდენიმე მილიონ დოლარს უდრის.

**ტოკიო.** 51 მილიონიან სესხის აღების, საქმე გადაიდო, რადგან ვერ მოახერხეს.

სან-ფრანცისკოდან იტყობინებიან, ამას წინად იაპონის ჩაიზე გამოცხადებულ ყადაღა მოხსნეს.

**ტულონი.** კრეისერი „ჟულ-ფერი" ზღვაზე გავიდა. კრეისერი „გამბეტა" რამდენიმე დღის შემდეგ გამართება. ორივე კრეისერი „რეხანს" შეურთდება და ორივე ერთად საფრანგეთის ინტერესებს დაიცავს ომის დროსა.

**რ უ ს ე თ ი.**

**პეტერბურგი.** ოფიციალურად ბრძანება უმართებულესს სენატსა: შივიდთ რა ამავე იტალიის და ოსმალე-

დო სარდაფი ექნებათ, მაშინ იაფი დაუჯდებათ. ახალშენებშიაც ამასა ვხედავთ. მაგალითად, სადგურ აქსტაფის ახლოს ეს რამდენიმე წელიწადია, რაც ახალშენი გრიუნფელდი დაარსეს, აქ საამხანაგო, სასოფლო, სარდაფი აქვთ, და ყველანი აქ აყენებენ და ინახავენ ღვინოს.

გერმანელები საზოგადოთ მდიდრები არიან, მაგრამ არ გეგონოთ, რომ ამათ ბეარებელი მიწები ჰქონდეთ. გერმანელის ოჯახს საშუალოდ ერთ დესეტინამდე ვენახი აქვს, და ეს ერთი დესეტინა ვენაი გერმანელს ექვსას მანეთზე მეტ წმინდა შემოსავალს აძლევს. ჩვენში კი ბევრი, ბევრი სამას მანეთამდე მისცეს წმინდა შემოსავალი, ხარჯებს გარდა. ეს იმის ბრალია, რომ გერმანელები ჩვენზე უკეთესად უვლიან ვენახებს და ღვინოსაც ჩვენზე კარგ ფასებში ჰყიდიან. ვენახების დამუშავება და ცხოვრება გერმანელს ჩვენზე იაფად უჯდება, რადგანაც ჩვენ საქონელში კერძო მოვაჭრეებს მეტს ვაძლევთ, გერმანელებს კი მომხმარებელ ამხანაგობის წყალობით იაფად უჯდებათ საქონელი. გერმანელებში საამხანაგო დაწესებულებანი ძალიან ღონივრები არიან. ჩვენში კი არა. ეს აიხსნება იმით, რომ გერმანელები ყველანი წერა-კითხვის მცოდნენი არიან და ყველას ღრმათა აქვს შეგნებული ამხანაგობის მნიშვნელობა.

ჩვენ კი ჯერ ისევ შეუგნებლები ვართ და არ გვესმის, თუ რა ძალაა ამხანაგობაში.

3) **სწავლა აღზრდის საქმე:** აღზრდა ბავშვისა ოჯახში და სკოლაში.

ეხლა გავითვალისწინოთ გერმანელთა აღზრდა. რასაკვირველია, ქალებისა და ვაჟების აღზრდა ერთი მეორისაგან განირჩევა, მაგრამ საერთოდ კი ყველა გერმანელი ბავშვს ღვთის შიშში და მოკრძალებაში ზრდის. ყოველ ბავშვს თავის მამის ხათრი და შიში აქვს. დედა კი, სამაგიეროდ, ბავშვებს ანებივრებს. რამდენადაც მამა სასტიკია, იმდენად დედა ლმობიერია. როგორც დედა, აგრეთვე მამაც ცდილობს ბავშვს ღვთის სიყვარული შთაუნერგოს, ამისათვის დედ-მამა ბავშვებთან ერთად ხშირად გალობენ ხოლმე ღვთის სადიდებელ საგალობლებს. კვირაძალზე ყოველ სახლში გალობა ისმის მამა ან დედა უკრავს ფისგარმონიაზე და სხვები დაჰგალობენ. უნდა შევნიშნო, რომ თითქმის ყოველ გერმანელის ოჯახში არის ფისგარმონია, და ყოველმა გერმანელმა იცის ფისგარმონიაზე დაკვრა. შეძლებულ ოჯახებში პიანინოზედ დაკვრას ქალები სწავლობენ. ძალიან ბევრი თავის შვილებს სკრიპკაზე დაკვრასაც ასწავლის. ამ გვარად პატარაობიდანვე გერმანელები მუსიკას სწავლობენ, და საკვირველი არ უნდა იყოს, თუ გერმანელებმა ძალიან ბევრი გამოჩენილი მუსიკის მცოდნე მოგვცეს; აქ, საზოგადოდ, გერმანელებზე მოგახსენებთ.

წერა-კითხვას ყველანი სახლში აწყებინებენ შვილებს. შვიდი წლისა როგორც ვაჟი, ისე ქალი ყველას სკოლაში მიჰყავს. ყოველ ახალშენში ორ-კლასიანი სკოლაა, სწავლაც ყველასათვის სავალდებულოა, რადგანაც გერმანელთა სარწმუნოება ამას მოითხოვს. სოფლის სკოლაში ზრდიან თავიანთ შვილებს არა მარტო ღარიბები, როგორც ეს ჩვენშია, არამედ მდიდრებიც. რაც უნდა მდიდარი იყოს გერმანელი, შვილს ჯერ თავის სოფლის სკოლას გაათავებინებს. მილიონერი ფორერის შვილებიც ჯერ სახალხო სკოლაში სწავლობენ და შემდეგ საშუალო სკოლაში გადაჰყავთ. ჩვენში კი საუბედუროდ ასე არ ვიცით. ჩვენა ვცდილობთ რაც შეიძლება მალე მივაბაროთ ჩვენი შვილები საშუალო სკოლაში, მოვაშოროთ ოჯახს და ამითი მოვაკლოთ მათ ოჯახის აღმზრდელობითი გავლენა. რაც უნდა ცუდად იყოს დაყენებული პირველდაწყებითი სკოლა, იქ ცოტა ალაგი მაინცა აქვს დათმობილი სამშობლო ენას, და ამას კი დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ოჯახიდან სკოლაში გადასვლა ნაკლებად შესამჩნევი ხდება.

გერმანელს უყვარს თავისი სკოლა და შვილებსაც იქა ზრდის. სკოლაში სწავლა ექვს წელიწადს გრძელდება. ყველა საგნებს პირველ ოთხ წელიწადს სამშობლო ენაზე ასწავლიან. რუსულ ენას მხოლოდ მეორე წლიდან იწყებენ, და სამ წელიწადს რუსულ ენას ისე სწავლობენ, როგორც საგანს. მეხუთე და მეექვსე წელიწადს კი ყველა საგნებს რუსულად გადიან. სამღთო სჯულს ყველგან სამშობლო ენით ასწავლიან. ორ კლასიან სკოლის გათავების შემდეგ საკონფირმაციოდ (საზიარებლად) ემზადებიან.

სკოლას საკუთარი შენობა აქვს. სწავლა სწარმოებს ზამთარში დილის 8 საათიდან 11-მდე. შემდეგ საათ ნახევრით სკოლა იკეტება, მოსწავლენი და მასწავლებელნი სახლში მიდიან სასადილოდ. სადილობის შემდეგ ისევ იკრიბებიან სასწავლებელში და ორ საათს კიდევ მეცადინეობენ. შემოდგომაზე და გაზაფხულზე კი სწავლა დილის შვიდი საათიდან იწყება, და ათ საათზე სადილობენ.

ელენენდორფის ორ-კლასიან სკოლას ექვსი მასწავლებელი ჰყავს, სხვა ახალშენებში კი ხუთი. მასწავლებლებს ჯამაგირად 600—900 მანეთამდე ეძლევათ, მასწავლებლებად გერმანელები არიან, რადგანაც გერმანელებს თავისი კაცი ქვეყანას ურჩევნიათ. რასაკვირველია, არა ცუდი, არამედ კარგი.

ორ-კლასიან სკოლის გათავება სავალდებულოა. მაგრამ ორ-კლასიან სკოლის გარდა ელენენდორფში არსებობს **ცენტრალური სკოლა.** ცენტრალურ სკოლაში იღებენ ორკლასიან სკოლაში კურს დასრულებულებს ყველა ახალშენებიდან. ცენტრალურ სკოლაში სწავლა სამ წელიწადს გრძელდება და ოთხი მასწავლებელი ჰყავთ, რომელთაც ჯამაგირად 1200 მანეთი ეძლევათ თითოს. ეს სასწავლებელი კერძოა „სკოლის მეგობრებისაგან" დაარსებული (სკოლის მეგობრებზედ ქვევით მექნება ბაასი). ცენტრალური სკოლა გერმანელებს საზოგადო განათლებას აძლევს. მეურნეობას კი გერმანელი ბავშვი თავის ოჯახში სწავლობს. თუ კაცს საზოგადო განათლება აქვს, მეურნეობის გაუმჯობესება წიგნების კითხვით და გამოცდითაც შეუძლიან. გერმანელების ცენტრალური სკოლა პროგრამით წინა სდგას ჩვენებურ საქალაქო სასწავლებელზე, მაგრამ ამ სკოლის გათავების შემდეგ გერმანელი არ მიდის სხვა და სხვა კანცელიარებში მოხელედ, როგორც ეს ჩვენში იციან, არამედ უბრუნდება მიწას და მას ჩაჰყირდიტებს.

ჩვენში კი საუბედუროდ ხუთმეტ მანეთიან მოხელეობას ამჯობინებენ თავის მამულის ხუთ თუმნიან შემოსავალს. ჩვენი მემამულე ისევ იმას ამჯობინებს დილიდან საღამომდე კანცელარიაში იჯდეს და ბუზებსა სთვლიდეს, ვიდრე თავის მამულს უვლიდეს. თუ ამ მემამულეს საქალაქო სასწავლებელიც დაუსრულებია, ან სკოლაში ცხვირი მაინც შეუყვია, მაშინ ხომ ღმერთმა დაიფაროს, მიწის მუშაობა რა იმისი საკადრისია; იმას თავი „ინტელიგენტად" მოაქვს, ასე ჰგონია, „ინტელლიგენტობა" მუქაია ხორობაში უნდა გამოიხატებოდეს. ერთი სიტყვით, ჩვენში მუშაობა, შრომა რაღაც არა საკადრის საქმედ არის გადაქცეული. გერმანელებში კი შრომას და მშრომელს დიდს პატივსა სცემენ.—

წარმოიდგინეთ, გერმანელები ისე არიან გამსჭვალულნი შრომის პატივისცემით, რომ ერთმანეთში მდიდრისა და ღარიბის გარჩევა არა აქვთ. მაგ., როდესაც მილიონერი ფორერი მიდის, იგი მოვალეა ყველას, უკანასკნელი სკოლის მოსამსახურესაც კი, თავი დაუკრას, თუ იგი სდგას. როდესაც მასწავლებლები სკოლაში იკრიფებიან, სკოლის მოსამსახურესაც ისე ართმევენ ხელს, როგორც თავის ამხანაგ მასწავლებელს, ეს აქ ისე ბუნებრივად ხდება, რომ აზრადაც არავის მოუვა, სხვანაირად უნდა იყოსო.

(დასასრული იქნება).

თის ომის თაობაზე, სურვილი გვაქვს სასტიკი და მიუდგომელი ნეიტრალობა დავიცვათ მეომარ მხარეთა მიმართ, საჭიროდ ვცანით შემდეგი ვბრძანოთ: I, ყველა თანამდებობის და კერძო პირთ ვვალდებთ საგალდებულოდ სახელმწიფოდ და ასასრულებლად მიიჩნიონ კანონიერ პასუხის მგებლობის შიშით, ჰააგის კონფერენციის დადგენილებანი 5/18 ოქტომბრის 1907 წლისა, ნეიტრალ სახელმწიფოთა და პირთა უფლებაგალდებულებათა შესახებ ხმელეთზე ომის დროს და უფლება - ვალდებულებათა შესახებ ზღვაზე ომის დროს (კანონთა დებულ 1910 წლ. განყ. 1, მ. 828), II, აღნიშნულ კონვენციათ განსავითარებლად საჭიროდ ვცნობთ: 1) მეომართა სამხედრო გემებს ნება აქვთ რუსეთის ნავთსადგურსა და ზღვის ყურეზე, ან ტერიტორიალურ წყალზე დარჩენისა, მხოლოდ 7 დღე-ღამე. 2 მეომარ მხრის სამხედრო გემთა რიცხვი, რომელიც რუსეთის ნავთსადგურში უნდა იყოს, ნავთსადგურის უფროსმა უნდა დანიშნოს მხოლოდ არა უმეტეს ექვსისა. 3) რუსეთის ნავსადგურში შეიძლება დარაჯებით, ან უმისოდ, შეშვება დატყვევებულის გემებისა, თუ ისინი მხოლოდ იმიტომ იქნებიან მიყვანილნი, რომ იქ სეკვესტრის ქვეშ საპრიზო სასამართლოს გადაწყვეტილებას უცადონ. სეკვესტრის დადების ზომები ნავთსადგურის უფროსს შეუძლიან დააწესოს, და თუ საჭიროა რუსეთის სხვა ნავთსადგურში გაჰგზავნოს იგი უმართებულესი სენატი ამის აღსასრულებლად არ დააყოვნებს საჭირო განკარგულება გამოსცეს: დედანს მათ იმპერატორობითი უდიდებულესობის საკუთარი ხელით აწერია: „ნიკოლოზ. ლივადია, 1911 წლ. 23 სექტემბერი“ შეამოწმა გარეშე საქმეთა სამინისტროს დროებითმა გამგემ ნერატოვმა.

**ლოძი.** ლოძის საქარხნო გზაზე, სადგურ ქოინსა და ვიძევს შუა, მსახურთა ვაგანებულ ვაგონში ხუთი შეიარაღებული კაცი შეიჭრა და ჯავშან გადაკრულ ვაგონის გასაღები მოითხოვა. ამ ვაგონში სადგ. ქოინისა და კართლევის ყოველ დღიური შემოსავალი მიჰქონდათ ხოლმე. მძარცველებმა 11,800 მანეთი გაიტაცეს, მატარებლის მსახურნი გადმოსხეს, თვითონ ჰმართვიდნენ მატარებელს 1 ვერსის გავლის შემდეგ გადმოვიდნენ და მიიმალნენ.

**ლოძი.** სოფ. ნიკოლაევკაში ცეცხლი გაჩნდა. სამი დაიღუპა, ერთი სიმიშად დაშავდა.

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანება გამოცხადდა, რომლითაც სახელმწიფო მდივანი მაკაროვი შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა სენატორის წოდების შერჩენით.

**მოსკოვი.** ყაზანის გზაზე მატარეში მძარცველთა ბრბოს საქმის გარჩევისას, ერთს სიკვდილი გადაუწყვიტეს, რვას—გამასწორებელ- რაზმში ყოფნა ნახევარ წლიდან $3^1/_2$ წ-დეთის—16 თვის ციხე, ერთს ოთხის თვის ციხე; 1 გაამართლეს.

**იალტა.** ამბავი მოვიდა, გემი „ალიშტა“ და „გურფუზი“ ერთმანეთს დაეჯახნენ.

**ოდესა.** უნივერსიტეტის რექტორად ხელ-ახლად პროფესორი ლევაშოვი აირჩიეს.

**ეკატერინოსლავი.** 56 ანარქისტის საქმისათვის 9 სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, 32 კატორღა ოთხი წლიდან ცაწყებული უვადომდე, ერთს —მცირე ხნით ციხეში ჯდომა, 14 გაამართლეს.

**ნიკოლაევი.** სად. ოსკენის, 23 სექტემბერს მეარტელეს განებ განუცხადებია 32000 მანეთი დაკარგეთ. მეარტელე შეიპყრეს.

**ჰელსინგფორსი.** ძველ ფინთა ორგანო „უზირუდ ომეტარი“ ამბობს, ტუუტად დაპარაკობენ, ვითომ კონგრესის მოკვლას საპოლიტიკო ხასიათი არა ჰქონდაო.

**მოსკოვი.** სრულიად რუსეთის სახარების მიმდევარ ქრისტიანთა და ბაპტისტთა კრება გაიხსნა. 100 დელეგატი გამოცხადდა.

## ფ რ ო ნ ა

**კიევი.** საავიაციო კვირის მეორე დღე, უამინდობისა გამო, გადიდო. კამპო სციპიო მორანით ფრტომირს მაინც გაფრინდა. სიკოსკი დნეპრსა და კიევს თავს დასტრიალებდა.

**ჟიტომირი.** კამპო-სციპიო მოფრინდა. მან 1 საათსა და 8 წუთს 128 ვერსი გაიარა.

**მოსკოვი.** ხოდინკის მინდორზე ეფიმოვი და გაბერ-ვლინსკი დაფრინავდა. ეფიმოვი ყველაზე მაღლა, 650 ადლის სიმაღლეზე აფრინდა. რიაბუშინსკის ჯილდო სისწრაფისათვის ეფიმოვმა და გაბერ ვლინსკიმ აიღო. პირველმა ხოდინკის ირგვლივ 1 წუთსა და 28,4 წამს შემოუარა, მეორე ოთხის წამით ნაკლები.

## თეატრი და ხელოვნება

**იმერეთის სალიტერატურო საღამო.**

**ქუთაისი.** 22 სექტემბერს გრიგოლ რობაქიძის მიერ ქალაქის თეატრში გამართულმა საღამომ დიდძალი საზოგადოება მიიზიდა. თეატრი ისე გაიჭედა, რომ გასავლელი ალაგიც კი აღარ იყო; უადგილობის გამო ბევრი გულდაწყვეტილი გაბრუნდა, ბევრმაც კულისებს შეაფარა თავი. ეს არც გასაკვირველია, რადგან საღამოში, გრიგოლ რობაქიძეს გარდა, მონაწილეობას იღებდნენ: ჩვენი მცხოვანი საყვარელი მგოსანი აკაკი, კიტა აბაშიძე, დავით მესხი და სხვანი.

საღამო სამი განყოფილებისაგან შესდგებოდა.

აიხადა თუ არა ფარდა, საზოგადოება აღტაცებული ტაშის ცემით და ვაშას ძახილით მიეგება აკაკის, რომლის გარეშემო თავი მოეყარა საღამოს ყველა მონაწილეს.

აკაკიმ ზეპირად წაიკითხა თავისი ახალი პოემა „კახეთი“, სადაც აწერილია საზოგადოთ კახეთისა და კერძოდ ალაზნის ველის თვალ-წარმტაცი სიმშვენიერე. მგოსანი ემუსაიფება გულჩათხრობილს, მოდუდუნე ალაზნის ზვირთებს, ჰკიცხავს მის სასოწარკვეთილებას და გულში უღვიძებს უკეთესი მომავლის იმედს.

ბ-ნმა თომაშვილმა წაიკითხა შვენიერი ლექსი, რომელიც დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა, რომ უფრო ხელოვნურად ყოფილიყო წაკითხული.

კიტა აბაშიძემ ჩვეულებრივი სიმარტივითა და ყველასათვის გასაგები ენით წაიკითხა ლექცია ილიას „განდეგილ“-ზე.

კარგი შინაარსიანი გამოდგა ჯ. ჯორჯიკიას ლეგენდა „ტყის ქალი“ და ჰ. უმბაძის ეტიუდი.

დ. მესხმა „ტყაჩირელი აზნაური პაატა“-ს წაკითხვით აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება. ბ-ნს მესხს აწერილი აქვს ჩვეულებრივი ენამახვილობით თავად აზნაურთა უკანასკნელი არჩევნები. მხოლოდ ერთ ადგილს ენა „აუბორძიკდა“ და სიტყვა „დათავდა“ შუაზე გაუწყდა, რამაც დასრულებელი ტაში და ვაშა გამოიწვია.

ახალგაზდა მელექსემ აბაშისპირელმა წაიკითხა თავისი ლექსები.

საღამო დასრულდა გრ. რობაქიძის ლექციით, „ერი და შემოქმედება“. შინაარსიანმა ლექციამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ნიჭიერმა ლექტორმა, ამ ნამდვილმა სიტყვის ოსტატმა, აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება თავისი მჭევრმეტყველობით. მადლიერმა საზოგადოებამ დაუსრულებელი ტაშის ცემით დააჯილდოვა საყვარელი ლექტორი.

საღამომ საზოგადოთ მშვენივრად ჩაიარა და იშვიათი სიამოვნება მიანიჭა დამსწრე საზოგადოებას.

მეტად სასურველია, რომ ასეთი შინაარსიანი საღამოები ხშირად იმართებოდეს.

კვირას, 25 სექტემბერს, გრ. რობაქიძე ფოთს მიდის სალიტერატურო საღამოს გასამართავად. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ ყველა ის პირნი, რომელთაც ქუთაისში მიიღეს მონაწილეობა; მათ შორის ჩვენი სასიქადულო მგოსანი აკაკიც.

---

**სოხუმი.** როგორც მკითხველებმა უწყიან წრეულს ქ. სოხუმში გაიმართება პირველი სეზონი ქართული წარმოდგენებისა. მისი ხელმძღვანელი შალვა დადიანი უკვე გაემგზავრა სოხუმს და 1-ლ ოქტომბრიდან სეზონის სამზადისს შეუდგება.

პირველი წარმოდგენა განზრახულია 15 ოქტომბერს.

წარმოდგენები თვეში 6 ან 5 მაინც გაიმართება და მათ შორის 2 იაფი ფასისა იქნება. ამ იაფ წარმოდგენებისათვის განზრახულია, რომ თითოეული მათგანი ეძღვნას რომელიმე ჩვენს მწერალს და ამითი შეძლება მიეცეს ხელ-მოკლე ხალხს—გაიცნონ თავიანთი მწერლების, როგორც ბიოგრაფია-ცხოვრება ისე შემოქმედებაც.

ჩვეულებრივ წარმოდგენისათვის კი უფრო ხშირად შერჩეული იქნება რომელიმე ორიგინალური პიესა.

გაიმართება აგრეთვე საგასტროლო წარმოდგენებიც. გასტროლებზე თავიანთი პრინციპიალური თანხმობა განაცხადეს ჩვენი სცენის მსახიობთ: ქ-ბმა დავითაშვილმა, რონელმა, ლეჟავამ და ბბ. ალექსი-მესხიშვილმა და კ. მესხმა.

## წერილი რედ. მიმართ

ნაძალადევის სცენის მოყვარეთა წრის გამგეობა დიდს მადლობას უცხადებს ყველას, რომელთაც თავიანთი წვლილი გამოიღეს „ნაძალადევის თეატრის“ დასამთავრებლად:

აგურის ქარხნის პატრონმა აჯიტავი ოღლიმ—1000 ც. აგური თავისი მოტანით ღირებული—16 მან. ბენიამინ სარქისოვმა—1000 ც. აგური ჩვენი მოტანით ღირებული—12 მან. 50 კ., ნიკოლ. ყუყუტოვ სოხაძემ ფულად—20 მან., ანდრია მამაცაშვილმა 3 მ., გრიგოლ ყუფშიძემ 2 მ. გიგო რცხილაძემ 1 მ., იოსებ მერკვილაძემ 1 მ., პეტრე გიორგ. ძე ტერ-დავიდოვმა ზარი, ღირებული 2 მ. და 40 კაპ.

წრე მადლობას უცხადებს აგრეთვე იმათ, ვინც უსასყიდლოდ ეხმარება თეატრის შენობის გადაკეთებაში.

იმედია, სხვანიც გამოჩნდებიან შემამწეები და შეძლებისა დაგვარად დაეხმარებიან წრის გამგეობას „ნაძალადევის „სახალხო თეატრის“ შენობის დაგვირგვინებაში, რადგან სხვის დაუხმარებლივ ამ ღარიბ წრეს არ ძალუძს დაასრულოს დაწყებული საქმე.

წრის გამგეობის მდივანი
**ივანე ფანიაშვილი.**

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ, თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოვუცხადო ბარის სახალხო სასწავლებლის გამგეობის მონდობილობით ს. მუხლის მცხოვრებს და ამ ჟამად ქ. ტფილისში მყოფს იობა სოფრომის ძეს ისაკაძეს, რომელმაც რწმუნებულს ჩემდამო ბარის სასწავლებლის წიგნთ-საცავს შემოსწირა თხუთმეტამდე პატარა, ლამაზად დაკაზმული ქართული წიგნი და 1906 წლის ჟურნალი „ნაკადული“, მოსწავლეთა დასარიგებლად. ეს არის პირველი შემოწირულება კერძო პირისაგან ხსენებულ სასწავლებლის ორმოცის წლის არსებობიდან, რომელი სასწავლებელიც, ხალხის სიღარიბისა და შეუგნებლობისა გამო დიდ ნივთიერ გაჭირვებას განიცდის.

ვიმედოვნებთ, რომ ბარის საზოგადოების მოწინავე შვილები ჯეროვან ყურადღებას მიაქცევენ ამ ერთად-ერთ კულტურულ დაწესებულებას თავის სამშობლო სოფელში და მიჰბაძავენ ხსენებულ იობ ისაკაძეს, ამა სასწავლებლის სასარგებლოდ წვლილის გამოღებით, რისთვისაც მათ გაჭირვებული ხალხი და განსაკუთრებით კი სასწავლებლის გამგეობა უღრმეს მადლობას გამოუცხადებს ბეჭდვითი-სიტყვის საშუალებითვე.

ბარის სახალხო სასწავლებლის საპატიო ზედამხედველი **ივლიანე ჩლაიძე.**


## განცხადებანი

### დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**უ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა,
**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მუღდინი:** 10—12 ს. ყურისა ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.
**ქალ. ექიმ. ბ. ს. შილბერშაცი:** 12 ნახ.—1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა.
**გ. ი. გურგენოვი:** 1—1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—$1^1/_2$ ს. შინაგან. და საბავშვო.
**ბ. გ. აგახაროვი:** 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ.-ექ. ბ. ს. შილბერშაცი:** 6—6 ნახ.- ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

11—12 ს. **606** წამლობა, კონსულტაციურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
(წ. (1168—141)

---

მუხრანის ხიდთან
### სამკურნალო
მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

**ა. ა. გაზაზოვი**—შინაგან სნეულებანი, დილის 10—11 ს.-დე.
**გ. მ. გოგობერიძე**—შინაგან და ბავშვებ., დილის 11—12 ს.-დე.
**მ. კ. იოხელიანი**—დედათა სნეულებ., დილის 10-ნახევრიდან 11 ს.
**მ. ლ. შტრიახერი**—ყელისა და ყურისა, 11 ნახ.—12 ნახ. ს.
**ლ. გ. ხაყვარელიძე**—შინაგან და ბავშვებ., 12 ნახ.—1 ს.-დე.
**იაშვილი**—შინაგან, 1—2 ს.-დე.
**გ. ბ. მელკონიანი**—ქირურგ., 12—1 საათამდე.
**ა. ი. გრიგორიანი**—ქირურგ. 11—12 ს.-დე.
**გ. ა. ახვერდოვი**—შინაგან, 12 ნ.ხ. —1 ნახ. ს.-დე.
**მ. დ. კილოსანიძე**—ქირურგ. 12 ნახ. —1 ს.-დე.
**408 ში**—კბილისა, 8—10 ს.-დე.
**ლ. მ. მონინი**—დედათა სნეულებანი და საბებიო, 1 ნახ.—2 ს.-დე.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata) „606“-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

№ 646. 100—50 (0—1003—148

---

**საბუღალტერო კურსები**
გ. და მ. ტერ-დავიდოვებისა.
ნიკოლოზის ქ., N 36, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად.
კანცელარია ღიაა საღამოს 4—6 ს
სწავლა დაიწყება 15 ენკენისთვიდან. (25.781.25)

---

**გამოცდილი მასწავლებელი**

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელებს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის **პირობებით:** სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, საეპარქიო სასწავლებლისთვის, სატენზიკო, სავაჭრო, სამრეწველო, სამხატვრო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრეთვე საბებიო ინსტიტუტისათვის, ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის სარისხზე.** ყველა **კლასის ჩინისთვის.** ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალ. ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, 2) ვერაზე, 3) ვაკეზე. მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები მცოდნენი სხვა და სხვა ენებისა და საგნების. მეცადინეობა დაიწყება დილის 8 საათზე და გაგრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა, მიიღებენ სრულ ხარჯზედაც, პანსიონში. მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ-დღე, ხანამ შევისწავლიდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

სიმონოვის ქუჩა, № 23, ქვემო სართულში. შესასვლელი მთავარ-კარებიდან, ქვემო ზარი, და ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. (თ.—1084—37)

---

სამკურნალო კაბინეტი
### ექიმ კ. ს. ფონ-ირეტელისა
(ელისაბედის ქ., № 17, ცერკოვნი მისახვევის პირდაპირ).

სპეციალისტი-ქირურგი (სიმსივნისა), სამარდე ბუშტისა, მილისა, თირკმელებისა და საზქესო ორგანოთა (უღონობა, ნერვიული სისუსტე, ჩუკუნების შედეგი), ათაშანგისა და მის შედეგთა, (ერლიხის „6 0 6“-ის ხმარებით და ბერლინის კლინიკათა სხვა საშუალებით), ვენერიულ ავადმყოფობათა (სუსუნატისა და მილის დავიწროვების წამლობა), კანის სნეულებათა წამლობა ელექტრონით და ოპერაციები.

ავადმყოფთა მიღება დილის 9—12 საათამდე და საღამოს 5—8 ნახ. საათამდე. ქალთათვის ნაშუადღევის 2—3 საათამდე. (25.1505.10)

---

◄ მშობიარეთათვის ►
### თავშესაფარი
### ბებია-ქალის
### მუხარელისა.

ოლგას ქ., საბებიო ინსტიტ. პირდაპირ მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6-დან ნაშუადღევის 12 ს. (თ.—1083—81

---

### „ს.-პეტერბურგის საქიმიო ლაბორატორია“.
1860 წ. დაარსებული.

ვურჩევთ იყიდონ სულ ახლად გამოსული გასასყიდად

პარიზი 1900. **ყვავილის ო-დე-კოლონი,**




„საუცხოვო აკაცია“,
„ნუ დამივიწყებ“,
„მხიბლავი სუმბული“.

თავისებური ძლიერი, საუცხოვო და ხანგრძლივი სურნელება.

✦ **უმაღლესი ღირსებისა.** ✦

მთავარი საწყობი: ტფილისი, სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა. (23—1292—9)




### გამოვიდა და იყიდება
### თხზულებანი:

| | | |
|---|---|---|
| არჩილ ჯორჯაძისა: | წ. I. „ეროვნულ პრობლემის გარშემო“, | ფ. 75 კ. |
| „ „ | წ. II. „ჩვენი საზოგადოებრიობა“. . . | ფ. 80 კ. |
| „ „ | წ. III. „ნააზრევი“ . . . . . . . . . | ფ. 65 კ. |
| B. å t o n-ისა: | „ერი და კაცობრიობა“ . . . . . | ფ. 1 მ. 20 კ. |
| ვ. ყიფიანისა: | «სამეგრელოს მთავარი ლევან», ისტ. დრამა | ფ. 40 კ. |
| ნ. შიუკაშვილისა: | «მეგობრობა», 4 მოქმ. დრამა . . . . . | ფ. 30 კ. |

ყველა ამ წიგნების შეძენა შეიძლება სხვათა შორის ქ. შ. წ. კ. გ. ს. წიგნის მაღაზიაში, ტფილისში და ქუთაისში კვიცარიძისა და მთავრიშვილის წიგნის მაღაზიებში.

---

სალიანის თევზით მრეწველ და მოვაჭრე თ
### ძმ. ძეგველოვების
● მ ა ღ ა ზ ი ა ●

პუშკინის ქ., საკუთარი სახლი, № 9, ტელეფონი № 712,

✦ **ახალ-ახალი** ✦

**ოსეტრინა** (ზუთხი) და **სევრიუგა** (ტარაღანა).

ყოველ დღე ცხელი **ლოქო.**

◄ საუკეთესო პაიუსნი ხიზილალა გირვანქა 1 მ. 20 კ.

ახალი კეტოვი **ხიზილალა**

აგრეთვე მივიღეთ საუკეთესო ღირსების სელიოდკები სამეფო, დუნაისა, რიგისა და ქერჩისა.

(წ—1058—)